სახალხო გაზეთი

№ 422 ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 422

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"
სურათებიანი დამატებით
1 ღვინობისთვიდან წლის ბოლომდე
ღირს 2 მან. 40 კაპ.
ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.
ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)
რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში „ორპირის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს,
სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:
დღენი ჩვენი ცხოვრებისა,
პიესა 4 მოქ., ლ. ანდრეევისა, თარგ. ვ. ელიოზიშვილისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ს. ანკარა, შ. ბეჟანოვისა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კაზელი, ე. ციციკურიძე, მგ. წუწუნავა; ბ-ნნი ანაშვილი, ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. მეტრეველი, მეტეხელი, იაშვილი, ნარი, ნინიძე, სალაყაია, ხვანელი, შანშიაშვილი, ვ. შავლაძე, ფრონის-პირელი, ჭამკვატაძე, კ. ხაზანაშვილი.
დასაწყისი საღ. 8 ს. ამ წარმოდგენაზე მოწაფეებს არ შეუშვებენ.
ბილეთ. იყიდება თეატრ. კასაში დილ. 12—2 ს., საღ. 6—8 ს. შემდეგი წარ. 19 ოქტ.
(2.1497.1) ადმინისტრატორი ან. ქუაბერაშვილი, რეჟისორი ალ. წუწუნავა.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი
„კოლხიდა"
რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.
ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.
საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.
ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—159)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:
ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.
გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.
დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,
მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.
სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.
თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.
ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—831)

ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულიოზი.
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (100—1534—2)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ბანტურიასი დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.
ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—49)

ექიმი ზ. ნ. გაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—46

ექიმი ე. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (6—455)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.
ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს, 1911 წ.
ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ პირველად იქნება წარმოდგენილი ქართულ სცენაზე
ნორჩი თაობა
დრამა 4 მოქმ. მაქს დრეიერისა, თარგმანი ი. ყივიძისა.
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ვიქტორელი, პიერეტა; ბ. ბ. ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გვარამძე, მატარაძე, ციციშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.
ანონსი: მზადდება ჯადოსანი, ქალის ჭკუა, ანტიგონა, კლდე და სხვა.
(2.870.1) რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრამ. საზ. ადმინისტ.

წინამძღვარი ტფილისის წმ. სამების ეკლესიისა მღ. ვას. კარბელაშვილი კრებულითურთ სთხოვს ზემოხსენებულ ეკლესიის მრევლს, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ ეკლესიაში კვირას, 16 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ეკლესიის მნათისა და მის მოადგილის ასარჩევად. (4—863—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. ბობოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით.
(წლ.—1090—179)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—16)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი ივ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.
ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—23)

ექიმი მ. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. დებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—23)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1269—21)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).
ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.20)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N
სახლი გაბაშვილისა.

ტფილისი, 12 ოქტომბერი

წვრილი კრედიტი და ხალხი.

დღევანდელ გაზეთში იბეჭდება ინტერვიუ ჩვენი თანამშრომლისა ბ-ნ ვ. ლ. ვიფორსთან. ეს საუბარი ბევრის მხრითაა საინტერესო. ახლად ჩამოსულ მოხელეს, რომელიც ჯერ ხეირიანად არც კი გასცნობია ჩვენს ქვეყანას, უკვე შეუმჩნევია ის ნაკლი, რომელზედაც ჩვენ არა ერთხელ მიგვითითებია. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი კულტურული საქმე,—თუ არის იგი სადმე,—კეთდება განსაკუთრებით სოფლის ინტელიგენტთა მცირე ჯგუფის წყალობით. თვით ხალხი პირდაპირ არავითარ მონაწილეობას არ იღებს საქმიანობაში, თუმცა შეგნება აქვს; ყოველ შემთხვევაში ბ-ნ ვიფორსზე ჩვენს ხალხს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ იგი გაცილებით უფრო შეგნებულად ეკიდება საქმეს, ვიდრე ცენტრალურ რუსეთის გლეხები.

მიუხედავად ამისა, თვით ხალხი დღემდის არავითარ პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს საქმეებში. წვრილი კრედიტის ამხანაგობათა აზრი თანდათან ვრცელდება. ბევრგან უკვე დაარსდა ასეთი ამხანაგობანი, ბევრგან განზრახულია მათი დაარსება. თუ ხალხი, სოფლის მასა შემდეგშიაც დაშორებული იქნება საქმეს და ყველაფერს სოფლის ინტელიგენციას მიანდობს, წვრილი კრედიტის ამხანაგობანი ვერ მოუტანენ იმ სარგებლობას, რომლის მოტანაც შეუძლიათ. წვრილი კრედიტი მარტო იმით კი არ არის სასარგებლო, რომ ამა თუ იმ გლეხს გაჭირვების დროს დახმარებას აღმოუჩენს და ამით ჩარჩებსა და მევახშეებისაგან დაიხსნის. ამ პირდაპირ დანიშნულების გარდა, წვრილ კრედიტის ამხანაგობას ის დიდი მნიშვნელობაცა აქვს, რომ იგი თვით-მოქმედებას აჩვევს ხალხს, ათვითცნობიერებს მას. გათვითცნობიერებული ხალხი დარწმუნდება, რომ თავისი ბედი თითონ უნდა გამოსჭედოს, ინიციატივა გაეღვიძება და ხელს მოჰკიდებს სხვა საქმეებსაც, რომელნიც მის ეკონომიურსა და კულტურულ კეთილ-დღეობას ხელს შეუწყობს.

საუბედუროდ, ჩვენში გლეხ კაცი მოკლებულია ამ ინიციატივას, თუმცა შეგნება და გამოცდილება საკმაო აქვს. ამასაც მრავალი მიზეზები აქვს. ჩვენებური გლეხ-კაცი ყოველთვის სხვის ბრძანებით დადიოდა. ყოველთვის სხვის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თუ გვინდა პოტენციალური ძალა ქართველ გლეხისა მომქმედ ძალად გადაიქცეს, იგი უნდა უფრო უკეთეს პირობებში სცხოვრობდეს. საუბედუროდ ჩვენს სოფელს სწორედ ეს აკლია. განსაკუთრებული პირობები ჩვენი ცხოვრებისა ხელს უწყობდა გლეხ-კაცობას ინიციატივის დახშობას, ყოველ-გვარ მუშაობას ინტელიგენციისას სოფლად ხშირად ეჭვის თვალით უცქეროდნენ და მრავალ დაბრკოლებას უჩენდნენ.

როდესაც ასეთი უნდობლობა სოფლისა ჩვენდამი მოისპობა, მაშინ გლეხ-კაცობასაც მეტი საშუალება მიეცემა თავისუფლად გაშალოს ფრთები და დაფარული ძალა შემოქმედებისა თავის ეკონომიურ და კულტურულ კეთილდღეობას მოახმაროს.

ვისაც გულწრფელად ჰსურს ხალხის სამსახური, ეს არ უნდა დაივიწყოს...

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი** უკვე დაბრუნდა ტფილისში განჯის გუბერნიიდან, სადაც სანადიროდ იყო წასული.

◆ კვირას, 11 ოქტომბერს, **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი**, დამსახურებული პროფესორი **ჰრასოვი**, ნამესტნიკის კანცელიარიის დირექტორი **პეტერსონი, თავ. ი. მ. სუმბათაშვილი** და რამდენიმე **ბანოვანი** ქართ. სათ.-აზნ. გიმნაზიაში იყვნენ, სადაც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაათვალიერეს. საპატიო სტუმრებს მიეგებნენ და განმარტებას აძლევდნენ საზოგადოების თავმჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი და მუზეუმის გამგე ა. ი. სარაჯიშვილი. ამ ჟამად მუზეუმი დროებით გიმნაზიის ორ ოთახშია მოთავსებული, და სივიწროვის გამო ყველა საგანის გაშლა შეუძლებელი იყო. ამისდა მიუხედავად დათვალიერება 1¾ საათს გაგრძელდა. დაათვალიერეს ყველა მეტად თვალსაჩინო საგანი, ეთნოგრაფიული ტიპებისა და ისტორიულ პირთა სურათები, ძველ ხელოვნების ნაშთები, სიგელ-გუჯრები, მინიატიურები და სხვა. საპატიო სტუმრებმა თავმჯდომარეს თაყაიშვილს მადლობა გადაუხადეს და მუზეუმის სიმდიდრის შესახებ მოწონების აზრი გამოსთქვეს.

შემდეგ დაათვალიერეს გიმნაზია, სამხედრო და კავკასიის მუზეუმი და სიონის ტაძრის საგანძური. განმარტებას არქეოლოგი ე. ს. თაყაიშვილი და გენერალი ი. პოტო აძლევდნენ.

◆ **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სენატორმა ვატაციმ** გუშინ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის ახალი შენობა დაათვალიერა. იმის ყურადღება ძველი შენობის ჩარჩოებმა და კარებმა მიიქცია. ეს კარები ახალ შენობაშია ჩატანებული. თურმე ეს ჩარჩოები და კარები ხელოვნურ ჩუქურთმებით მეტად შესანიშნავი ყოფილა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაადასტურა ქალაქის საბჭოს დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანი ფურნეებისა და საკონდიტროების შენახვისა და გამომცხვარ პურისა და ბულკებით ვაჭრობის შესახებ. ეს დადგენილება ძალაში შევა ორი კვირის შემდეგ, როდესაც გაზეთ „კავკაზ"-ში ოფიციალურად გამოცხადდება.

◆ **გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის 20-მდე წარმომადგენელი**, რომლებიც დეპუტაციათ აურჩევიათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ—უმთავრესად თავად-აზნაურობას. დეპუტაცია ხვალ ინახულებს ნამესტნიკს. დეპუტაციას დავალებული აქვს ნამესტნიკს შესჩივლონ იმერეთის გაჭირვება და უმართებულო ცილისწამება, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის მმართველმა მთელი გუბერნია ქურდებად და ავაზაკებად მონათლა. დეპუტაციაში არიან სხვათა შორის, საგუბერნიო და სამაზრო მარშლები და ბევრი მხცოვანი დამსახურებული პირი.

◆ **ყაჩაღის შეპყრობა.** 6 ოქტომბერს ტფილისში შეიპყრეს ვასილ ბიჭიაშვილი, რომელიც, პოლიციის ცნობით, წინად წითელ რაზმში იყო და ამ ბოლო ხანს გორის მაზრაში დათარეშობდა.

◆ როგორც ლიეჟიდან გვატყობინებენ, წელს იქ **საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტი დაუმთავრებია** ჩვენს თანამემამულეს **გიორგი გიგიმურელს.**

◆ **„დაშნაკცუთიუნის"** პარტიის გამო სამართალში მიცემულთა საქმე, როგორც განზრახული იყო, საქმის გარჩევა გაზაფხულისთვის გადაუდვიათ.

◆ **ქალაქის საბჭოს შემფასებელ-აღმასრულებელ კომისიას** ჯერ კიდევ ცნობაში არ მოუყვანია ის მასალები, რომელიც ქალაქის უძრავ ქონების შემფასებლებმა შეაგროვეს. კომისია მუშაობას ამ თვის დამლევს დაასრულებს.

◆ **ერევნის მოედანი**, როგორც ვწერდით, საცდელად მოკირწლა ხმოსნად ნამყოფმა ს. ზ. მირზოევმა ინჟენერ გუბენის სისტემით. ამ სისტემით რუსეთში ჯერ არსად მოუკირწლავთ ქუჩები. რადგანაც ეს პირველი ცდა ყველასათვის საინტერესოა, გუშინ ახლად მოკირწლულ მოედნის სურათი გადაიღეს. სურათს ბ-ნი მირზოევი საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ჟურნალებში დასაბეჭდად ჰგზავნის.

◆ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცნობებით დღეს ინგლისის ბაზრებზე დაუჭრელ თამბაქოს **ფასმა ძლიერ აიწია**. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ წელს ჩრდილო-ამერიკაში თამბაქოს მოსავალი მდარეა. ინგლისის უდიდესი ფირმა „იმპერიალი" იძულებულია თამბაქო პლანტაციებზე კი არა ბაზარში იყიდოს. მაზანდამ ეხლა 15—20% აიწია. ამისდა მიუხედავად ახლანდელი მომენტი საუკეთესოა რუსეთის და კერძოდ კავკასიის თამბაქოს საზღვარ-გარეთის ბაზრებზე გასატანად.

წვრილი ამბები

◆ გუშინ ტფილისში შეიპყრეს **მაჭედ იბრაჰიმ ასკაროვი**, რომელიც მაღაზიებში დადიოდა, თავის თავს ვაჭრად მოჰქონდა და საქონელს სტყუებდა. ასკაროვს 15 ვაჭარი დაუტყუებია.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 9 ოქტომბერს მოხდა ს. ფ. გოფმანის თავმჯდომარეობით. კრებაზე წაკითხულ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1911 წლის 1 იანვარს საზოგადოების კასაში ყოფილა ფულად 18,427 მან. 44 კაპ., მასუკან შემოსულა—22,796 მან. 1 კაპ. სულ გამხდარა 41,223 მან. 43 კ. დახარჯულა—2,644 მან. 40 კაპ.

ეროვნული

დარჩენილა--38,579 მან. 8 კაპ. კრებამ განიხილა აგრეთვე საკითხი აბასთუმანში სანატორიის აგებისა და საძირკვლის ჩაყრის დღედ 30 ოქტომბერი დანიშნა. დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: კნეინა მ. მ. თუმანოვი, ს. ფ. გოფმანი და მ. ნ. ვესელოვზოროვი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ქ-ნი ზარგარიანი, კ. სარქისოვი და ექიმი კირშენბლატი.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით 10 ოქტომბერს მოხდა; საბჭომ დაადგინა: 1) შეისყიდოს გუდოვიჩის ქუჩაზე ქ-ნ შლიტერის მიწა, 2) შეიძინოს გიდუბეში ქ-ნ ჟარარატოვისაგან ადგილი სასკოლოდ 3) დამტკიცდეს გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ნაძალადევში მდებარე თავისუფალი საქალაქო ადგილები ნაჭრებად დაიყოს და საჟენი 2-5 მანეთამდე გაიყიდოს 4) ნაძალადეველთა და ლოტკის გორელთა შუამდგომლობა ადგილების დაგირავების თაობაზე შემდეგ კრებისათვის გადაიდოს, რათა ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთი ცნობა შეჰკრიბონ. ამავ კრებაზე განიხილოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა, რომელიც განზრახულ სავაჭრო-სამრეწველო სასწავლებლისთვის უფასოდ ალაგის დათმობას ეხება. სასწავლებლის შენობის აგება ვარაუდით **220,000 მან. დაჯდება,** სახელოსნოს მოწყობა **32,000 მან., ხოლო ყოველწლიური სარჯი 44,000 მან.** სასწავლებელი 8 კლასიანი იქნება. ქალაქის საბჭომ დაადგინა, დაუთმოს სასწავლებელს 2 დესეტინა ალაგი ნაძალადევსა, ან ნავთლუღში, იმის მიხედვით, სადაც უმჯობესი იქნება.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნ. სააღგილ-მამულო ბანკის სადგომში **ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს კრება მოხდება.**

◆ შაბათს, 15 ოქტომბერს, ბირჟის დარბაზში ტფილისის ვაჭართა საზოგადოების ა. ნ. მილოვის წინადადებით არხიმანდრიტი ბენიკი წაიკითხავს ლექციას: „ვაჭართა როლი სახალხო განათლებაში“ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სასწავლებლებში

◆ **ქალთა უმაღლეს კურსების** ადმინისტრაციას, როგორც გვიგეთ, გადაუწყვეტია, საზოგადო გეოგრაფიის კათედრაზე მაგისტრანტი გ. **ჯავახიშვილი** მოიწვიოს.

სასამართლო

◆ **ბოქაულად ნამყოფ ოკონოვის საქმე** ოლქის სასამართლომ 10 ოქტომბერს გაარჩია. საქმის ვითარება ასეთია: **1909** წელს სამშობლოში თავის ნებით დაბრუნდა ადმინისტრატიულად გადასახლებული გიორგი ამირანაშვილი, რომელიც პოლიციამ შეიპყრო. შეპყრობილის ცოლმა დახმარებისთვის მიმართა ტფ. მერვე უბნის ბოქაულად ნამყოფს პრაპორშჩიკს პ. პ. ოკონოვს, რომელმაც ამირანაშვილის ცოლს 120 მან. გამოართვა შეპყრობილის დასახსნელად, მაგრამ გადასახლებისგან მაინც არ იხსნა. ამის შემდეგ ამირანაშვილის ცოლმა ყველაფერი გამოამჟღავნა და ოკონოვი სამართალში მისცეს. სასამართლომ ოკონოვი დამნაშავედ იცნო და ღირსების აყრა და 2 თვის ციხე გადაუწყვიტა.

◆ **ტფ. სასამართლო პალატის** სესია ბ-ნ ლაგოდას თავმჯდომარეობით დღეს ქუთაისს მიემგზავრება.

სომეხთა ცხოვრება

◆ ჩვენ ვაცნობებთ მკითხველებს, რომ კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების არსებობის 30 წლის იუბილეს გამო არსდება **სომეხთა ღარიბ მასწავლებელთა ფონდი.** ჯერ-ჯერობით ამ ფონდის სასარგებლოდ სხვა და სხვა პირებმა შემოსწირეს 500 მანეთი.

◆ ტფილისის სომეხთა ეკლესიებში კვირას, ოქტომბრის 9-ს **არჩევნები არ მოხდა,** გარდა ერთი ეკლესიისა. მომავალ კვირას არჩევნები მოხდება, რამდენი პირიც უნდა დაესწროს მრევლიდან.

◆ რუსეთის სომეხ კათოლიკეთა უფროსმა არქიმ. სარქის ტერ-აბრაჰამიანმა უმაღლეს მთავრობას საჩივარი წარუდგინა, რითაც პროტესტს აცხადებს, ქ. თეოდოსიის სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია პოლონელებს რად გადაეცითო, ზემოხსენებული ეკლესია დიდი ხანია სომეხ-კათოლიკებს ეკუთვნისო. ეს ეკლესია რუსების შემოსვლამდე მაჰმადიანთა მეჩეთი ყოფილა, რომელიც მთავრობამ სომეხ-კათოლიკებისათვის გადაუცია.

ახალციხე

◆ ორი უცნობი შესულა ქვრივ მოხუცის სარა ვანელოვის სახლში და მოუპარავს 400 მანეთის ვექსილი, ოქრო და სხვა ნივთები 210 მანეთისა. ეჭვით შეიპყრეს ქვრივის ნათესავები ირაკლი და სტეფანე გძელიშვილები.

პროვინცია

◆ **სოფ. ბოდბისხევი** (სიღნაღის მაზრა). უკანასკნელ დღეებში ქარმა და სეტყვამ სოფლელებს 30000 მანეთის ზარალი მისცა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს პროვინციის ამბებში, შეცდომითაა დაბეჭდილი: „სააღგილ-მამულო კომისიის ინსპექტორი დავით ვაჩნაძე“, **უნდა იყოს:** „სააღგილ-მამულო კომისიის **ინსტრუქტორი** დავით ვაჩნაძე“.

წვრილი სესხი საქართველოში და ინსპექტორი ვლ. ვიფორსი

(პატარა ინტერვიუ)

საუბარი მქონდა ახლად დანიშნულ ტფილისში წვრილი სესხის ინსპექტორთან ვ. ვიფორსთან.

შევეკითხე, რა შთაბეჭდილება გამოიტანა ჩვენში წვრილ სესხის ამხანაგობათა დათვალიერებიდან რუსეთის ამხანაგობებთან შედარებით. ბევრი რამ საინტერესო გადმომცა ბ მა ვიფორსმა. სხვათა შორის მითხრა:

„უწინარეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში წვრილი სესხი ახლად იდგამს ფეხს და მეც ვერ შევძლებ დაბეჯითებით გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი ამ საქმის ავკარგიანობის თაობაზე თქვენში. რამდენიმე მათგანი მხოლოდ 3—4 წელიწადია რაც არსებობს, უმეტესი ნაწილი კი 1—2 წლისა არიან. მაგრამ, რასაკვირველია, როგორც სპეციალისტს ვერ გამომეპარება ზოგიერთი საერთო მოვლენა ქართულ სოფლის ბანკების ცხოვრების და რომელიც თვალში მეცა... ამაზედ შემიძლიან მოგახსენოთ. ჯერ ჯერობით განსაკუთრებულ გულისყურს ერთ მოვლენას მივაქცევ: თქვენში წვრილი სესხის ამხანაგობანი კერძო თაოსნობით არსდება ეს კაი მოვლენად უნდა ჩაითვალოს თუმცა, საუბედუროდ, უმეტეს შემთხვევაში ის თაოსნობა დიქტატურად გადაიქცა. ამხანაგობის საქმეები მთლად თაოსანთა ხელში ტრიალებს. ზოგ დაწესებულებებში, სადაც 200—400 წევრია, საქმის წარმოება ერთი კაცის ამარაა მიგდებული და ამხანაგობის წევრები, მათი გამგეობა, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საქმის წარმოებაში და სრულიად განზე სდგანან. თქვენც დამჯერდებით, რომ ეს დაწესებულებანი კოოპერატიულ ამხანაგობებათ კი ვერ ჩაითვლება, არამედ კერძო თაოსანთა ბანკებად. მართლადაც, ცნობები მაქვს—ზოგიერთ მაგისთანა დაწესებულებებში გლეხობა ისე უყურებს სათავეში მდგომ კერძო პირებს, როგორც მოწყალე ბატონებს. მაგალითად, ქუდს მოიხდის, თავს მოიხრის და სთხოვს: „ბატონო, შენი ჭირიმე, ფული ძალზე მიჭირს და მასესხე შენი ბანკიდანაო“, ან მადლობას უცხადებს, რომ შენი (ბატონის) მოწყალებით ფული გამოვიტანე და სული მოვიბრუნე და სხვა.

ხსენებულ ამხანაგობებში ამ პირობების მიხედვით საქმეც წესიერად ვერა სწარმოებს. ორ ადგილას შევამჩნიე, ამხანაგობის ფული „ბატონებს“ უბით დაჰქონდათ. ერთმა კი იქამდინ გაიადვილა საქმე, რომ სესხს ურიგებდა წევრებს; სადაც მიუსწრობდა მთხოვნელი: გზაზე, რკინის გზის სადგურზე და სხვა.

ანგარიშსაც წესიერად ვერ აწარმოებენ, თუმცა ეს უფრო ინსპექციის ბრალია... ამას ახლო მომავალში გავასწორებთ. ეს საშიში არ არის... პირველი მოვლენა კი ძლიერ საშიში ხდება. შესაძლოა ერთი, ორი კაცის მუშაობის უნარზე აგებული ამხანაგობანი მალე დაიშალოს. ამიტომ საქმე მოითხოვს, რომ წვრილი სესხის დამაარსებლებ-თაოსნებმა ახლავე შეიტანონ თავისი კეთილი ინიციატივა და საქმის ცოდნა ამხანაგობის წევრთა წრეში, რაც შეიძლება ბევრი მათგანი გააცნონ ამ საქმეს და გონიერი მუშაკნი მოიმხრონ.

აი, მაგალითად რუსეთში, სადაც წინად ვმუშაობდი, უმეტეს ამხანაგობას სათავეში უდგა მარტო გლეხებიდგან შემდგარი გამგეობა. ბევრგან ინტელიგენტის ჭაჭანებაც კი არ იყო, მაგრამ მშვენივრად მიჰყავდათ თავისი საქმეები. თქვენშიაც უსათუოდ რაც შეიძლება ადრე ასე უნდა მოხდეს“.

—იქნება ჩვენი გლეხობა უფრო ჩამორჩენილია რუსის გლეხობას გონიერებით, განვითარებით, რომ ამ ასპარეზზე ძნელი საპოვნელია მათში მუშაკნი?—შევეკითხე ბ. ვიფორს.

— „არასოდეს!—მიპასუხა მან—პირიქით განცვიფრებაში მოვედი, როცა ქართულ ამხანაგობების კრებებზე გლეხების ლაპარაკს ვისმენდი. გლეხების დინჯმა, აზრიანმა, ლოღიკურმა და საქმიანმა მსჯელობამ გამაოცა. სწორე გითხრათ, ამისთანა მსმენელებს ჩვეული არ ვიყავ. რუსეთში, როცა იქაურ ამხანაგობის კრებას დაესწრება 10 კაცი დიდი მოვლენაა, და ორი „ორატორის“ სიტყვა რომ გაიგო კრებაზე, დიად მაგალითად ჩაითვლებოდა. თქვენში კი ერთ სოფელში ჩემის მიერ სხვა და სხვა სოფლებიდან 50 მოწვეულთაგან კრებას 40 გლეხი დაესწრო! კრებაზე ილაპარაკა 23 კაცმა და როგორ? მეც კი მისწორებოდნენ!

საუბედუროდ ქართული ენა არ ვიცი და თარჯიმანს კი ალბად, ის ლაზათი აღარ ჰქონდა, რასაც მეუბნებოდნენ. ეხლა უნდა ვეცადო და ქართული ენა შევისწავლო. მაშასადამე, ეჭვი იმისა, რომ თქვენ გლეხობას არ შეეძლოს კოოპერატიულ სესხის საქმეს გაუძლვეს, სრულიად უსაფუძვლოა. საქართველოში წვრილი სესხის საქმე მაგრა მოიკიდებს ფეხს და კარგადაც იწარმოებს, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ თქვენი ინტელიგენტები, რომელნიც ამ ნიადაგზე მუშაობენ ეხლავ შეეცდებიან ხალხში გადაიტანონ ცოდნა, სიყვარული ამ საქმისადმი, იმათგანვე შეჰქმნან ნამდვილი მუშაკთა ჯგუფები ისინი თავის თავის ბატონ-პატრონობას შეაჩვიონ“...

დავით კახელი.

სასამართლო

დღეს დილის 10 საათზე, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის პირველ განყოფილებაში ახაბაბში 4 საფოსტო მატარებლიდან 469500 მანეთის გატაცების საქმის გარჩევა დაიწყება. სასამართლოში მიცემულნი არიან: ტფილისის მდაბიო მოქალაქე ნიკოლოზ პეტრეს ძე ივანოვი, 48 წ., ერმოლოზ სიმონის ძე ხადიასი, 42 წ., სოფ. ჩონჩხათის (ოზურ. მაზრა) გლეხი ანტონ იოსების ძე კოსტავა, 30 წ., სოფ. ბროლიაზოლის (რაჭა) გლეხი სერგო სხირტლაძე, 27 წ., ს. ჭალვანის (შორაპნის მაზრა) გლეხი ყარამან როსტომის ძე ჯაფარიძე, 46 წ., სოფ. თეფლეთის (სენაკის მაზრა) გლეხი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გრიგოლია, 34 წ., ს. ეწერის (სენაკის მაზრა) გლეხი ალექსი მერაბის ძე ქანტურია, 29 წ., კოლ. რეგ. შვილი მიხეილ იაკობის ძე ივანოვი, 45 წ., აზნაურები: ალექსანდრე პავლეს ძე თოფურია, 37 წ., პავლე დავითის ძე ჟღენტი, 41 წ., კოლ. სეკრ. ვარლამ მელიტონის ძე მესხი, 31 წ., ქ. ოზურგეთის მდაბიო მოქალაქე ნიკოლოზ გიორგის ძე ფირცხალაიშვილი, 20 წ., ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპიტანი ევგენი ვლადიმერის ძე ერმოლოევი, 38 წ., დ[illegible] გიორგი დავითის ძე ოთხმეზური, 32 წლ.

პირველთ ბრალად ედებათ, რომ 1908 წლის მეორე ნახევარში მათ, დამალულ ივანე დავითის ძე ლილუაშვილთან ერთად ბოროტმზრახველთა ჯგუფი შეადგინეს და განიზრახეს შუა აზიაში გაგზავნილ ფულის გატაცება. ამ მიზნით შეიძინეს შესაფერი იარაღი და თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. **1909** წლის 14 იანვარ კრასნოვოდსკიდან ახაბაბში მიმავალ საფოსტო მატარებლის **№ 3,** საფოსტო ვაგონიდან **469,500** მანეთი გაიტაცეს.

უკანასკნელ ორს კი ბრალად ედება, რომ იცნობდნენ ამ გატაცებაში მონაწილე პირთ და იმის მაგივრად რო გაეცათ, იმათ მათგან რამდენიმე ათასი მანეთი მიიღეს. გატაცებული ქაღალდის ფული შეჰქონდათ საბანკო დაწესებულებებში და ამრიგად ახურდავებდნენ, თუმცა კი იცოდნენ, რომ ეს ქაღალდის ფული ახაბაბში გატაცებულია. ბრალდება განსაზღვრულია პირველთათვის სასჯელთა დებულების **425** მუხლის **1** ნაწილით და **1645** მუხლით; მეორეთათვის კი—**125** მუხლის მეორე ნაწილით და იმავე დებულებათა **930** ძალით; საქმის განხილვა რამდენიმე კვირას გასტანა, რადგანაც რამდენიმე ასი მოწმეა დაბარებული.

სხვა და სხვა ამბავი

— პეტერბურგში გაზ. „კასპის“ სიტყვით, დაუპატიმრებიათ ვილაც კიევიდან მოსული შერემეტიევი. მას ბაგროვის საქმეში მონაწილეობას აბრალებენ. დაპატიმრებულს ბრაუნინგი და საპასპორტო ბლანკები უპოვნეს.

— ხმა დავარდა, სენატორ ტრუსევიჩის რევიზია სასახლის პოლიციის მოქმედებას არ შეეხებაო.

— გაზეთები სწერენ, სახელმწიფო სათათბიროს პირველ დღეებს მუშათა დაზღვევის კანონ-პროექტის თაობაზე ექნება მსჯელობა.

— სახელმწიფო სათათბიროს წევრი პოლეტაევი შინაგან საქმეთა მინისტრ მაკაროვს შეეკითხა, რა მოელის განათლების საზოგადოებას—„ნაუკას“ საქმის თაობაზე დაპატიმრებულ თაოშმაკაროვმა უპასუხა, თუ დღესვე ბრალდება არ წაუყენეს ახლავე გაანთავისუფლებენო.

— გრაფი ს. ვიტტე „რეჩში“ ა. ი. გუჩკოვს ეკამათება. იგი ამბობს, რეა-

კოოპერაცია საქართველოში და მისი მომავალი

II

(დასასრული)

კოოპერატიული მოძრაობა აღმოცენდა კაპიტალისტურ ცხოვრების წიაღიდან, როცა ამ წყობილების ყოველი ცუდი მხარე აშკარად ამოტივტივდა ცხოვრების ზედაპირზე, ხალხმაც სხვა და სხვა ხერხს მიჰმართა მის წინაღმდეგ. კოოპერაცია—ერთი ამ ხერხთაგანია, რომელსაც აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს და აგრეთვე მრავალი უარყოფითი მხარეც.*) მაგრამ კაპიტალისტურ ცხოვრებაში უკვე აუცილებელი მოვლენაა. რამდენიც უნდა იდლონ დასავლეთ ევროპაში, რამდენიც უნდა იქადაგონ კოოპერაციის მტრებმა მის წინააღმდეგ, კოოპერატიულ დაწესებულებათა ცხოვრების პირიდან აღკვეთა ყოვლად შეუძლებელია. მან უკვე მოიპოვა ეკონომიური ნიადაგი, ის უკვე არსებობს და ვითარდება—აშკარაა, მას საზოგადო პირობებიც ხელს უწყობს... რადგან ცხოვრებისა და ისტორიის გარეშე არავითარი მოვლენა არ არსებობს.

საქართველოს ცხოვრებაშიაც კი კაი ხანია ვითარდება ეს ნიადაგი. მთელი საუკუნეა, რაც კაპიტალიზმი თან და თან ფეხს იკიდებს ჩვენში. ჩვენმა ცხოვრებამ განვლო ყოველი ხანა, ყოველი მუხლი ამ ხანისა და დღეს იგი სიმწიფის ხანაში შედის. საქართველოს ქალაქები ევროპიულ ქალაქებს დაემსგავსა, კაპიტალისტურად ეწყობა და კაპიტალიზმის ყოველ წესებს ითვისებს. განათლება და საზოგადო კულტურა, ტეხნიკა და გამოგონება—ჩვენი ქალაქების შაე და ჰოეა. ჩვენი ცხოვრება კარ-ჩაკეტილობას კაი ხანია გამოეშვიდობა, დღეს ჩვენი კულტურა ევროპიული კულტურაა, ტფილისში ცხოვრებით ჩვენ ვცხოვრობთ რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და ყველგან. ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და რკინის გზა ჩვენ ცხოვრების ასპარეზს აფართოვებს. ყოველი შესამჩნევი ამბავი, შორეულ ქვეყნებში მომხდარი, ჩვენ ამბად გვექცევა, ჩვენ ყურებს სწვდება და მას ჩვენც ვეხებით. შეიძლება უბრალო სოფელში ვცხოვრობდეთ, მაგრამ იქიდან შეგვიძლიათ სრული სიწორით თვალი ადევნოთ მაჰომედ-ალის ავანტიურას სპარსეთში, ალბანეთის აჯანყებას ოსმალოთა წინააღმდეგ, საფრანგეთის და გერმანიის უთანხმოებას აფრიკაში-დიახ, ჩვენი ცხოვრება ევროპიულად მოეწყო, ჩვენში ყველაფერი კაპიტალისტურ წესსა და ხასიათს იღებს. არა მარტო კულტურა, გონივრული ავლა-დიდება და ცხოვრების ზერელე მოვლენებია ასე მორთული ამათ გარდა, ჩვენი ეკონომიური პირობები ასეა გადასხვაფერებული.

ჩვენი სოფლებიც ჩაითრია კაპიტალიზმმა. ფეოდალური კარჩაკეტილობა და ძველებური ბატონყმობა აღარსადაა. ყმა, რომელიც ვერაფერს დაინახავდა გარდა ბატონის გაციებულ კერისა, რომელიც ვერაფერს მოიფიქრებდა, გარდა ბატონის სიამოვნებისა, დღეს თავის ბატონი გამხდარა, გამოსულა ძველ ცხოვრებიდან და ახალ ცხოვრებას, ახალ განათლებას თითონ ჰქმნის. აქამდინ ჩვენი ხალხი თუ ყოველ თავის ნაშრომსა და ნაღვაწს უბრალოდ მიართმევდა მებატონეს, დღეს მას ყოველი თავის ნაწარმოები ბაზარზე გააქვს, მის ნაშრომს, მის ძარღვებს ფასი მისცემია და მასში ოქრო-ვერცხლს იძლევიან. ჩვენი გლეხი გამყიდავია, ჩვენი გლეხი მყიდველიცაა. ვერ ვნახავთ გლეხს რომ არ ყიდდეს და არ ყიდულობდეს. თვით უკანასკნელი ბოგანოც ყიდვა-გაყიდვით ცხოვრობს. ეს აუცილებლად ჩვენი მწარმოებელ ძალების განვითარების შედეგია. თუ ხალხი რამეს ჰყიდის—ალბად ეს მის სარგებლობას შეადგენს, ალბად ამაში ის ხეირობს. ასევეა, როცა ის ყიდულობს. მოგება რომ არ უნდოდეს, ბაზარზედაც არ გამოვიდოდა. სწორედ აშკარა ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი გლეხის ინტერესი, ჩვენი მეურნეობის მიზანი დღეს მოგება და სარგებელია. ჩვენი ხალხის ყოველი ნაწილი—ერთისათვის მუშაობს, ჩვენი ხალხის ყოველი პირი ყველასათვის ოფლსა ჰღვრის—აი, ახალი ფილოსოფია საზოგადოდ კაპიტალისტურ ქვეყნებისა და კერძოდ ჩვენი ცხოვრების შინაარსი.

ქართველი ხალხი გასაყიდად მუშაობს, მან თავისი საქონელი უნდა გაჰყიდოს და სხვისი ნამუშევარი კი შეიძინოს. რისთვის იქცევა ასე? სხვაფრივ მოქცევა ჩვენს მწარმოებელს არ შეუძლიან. ოჯახის მოთხოვნილება მრავალ-ნაირია, ის კი მხოლოდ ერთ რამეს აკეთებს, ერთ ნაწილის დამაკმაყოფილებელია და ხშირად ის იმის დამზადებელია, რომელიც მას პირადად სრულიადაც არ ესაჭიროება. ამიტომ მან თავისი ნაშრომი უნდა გაჰყიდოს და სხვისი ნაღვაწი შეიძინოს. ამნაირად განაწილდა ჩვენში შრომა, ამნაირადაა მოქსოვილი მუშის მკლავებიდან გადმოსულ ძარღვების ქსელით ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

რაკი აღებ-მიცემობა განვითარდა და განმტკიცდა, ეს გარემოება თავის მხრივ წარმოშობს აღებ-მიცემობის მსახურ ხალხსაც. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი გლეხი გასაყიდ საქონელს ამზადებს და ასეთივეს ჰყიდულობს, მაგრამ ის თავისივე ფეხით კი არ მიდის და მიაქვს ნაწარმოები ბაზარზე და იქ ის როდი სდგას მყიდველის მოლოდინში. არა, ჩვენი ხალხის სამუშაო ხელფასი იმდენად მაღალია და ძვირი, რომ მისი მოცდენა ბაზარში დგომით შეუძლებელია. მწარმოებელთა ნაწარმოების გამსაღებელი და გამნაღდებელი ჩვენში უკვე გამოჩეკილი ვაჭრებია, ჩვენი ჩარჩები, რომელნიც ამ საქმეში მეტად არიან დახელოვნებულნი და საიდანაც ისინი მეტად დიდ სარგებელს დებულობენ.

ჩვენში ვაჭრობას თავიდანვე ჩარჩული ხასიათი ჰქონდა, ის ყოვლად უწესო პირობებში იყო ჩაყენებული და ამაში ჩვენი ვაჭრებიც კიდევ უფრო კნინდებოდნენ. იშვიათად შეჰხვდებით საქართველოში ვაჭარს, რომელსაც ან ყალბი ალაბი არა ჰქონდეს, ან გამოფუტუროებული გირი, ან სასწორი. სიყალბე და მოტყუება ჩვენი ვაჭრების მრწამსად გამხდარა; ნისიით ვაჭრობაც ანვითარებს ამ საქმეს. ხალხი კი იძულებულია მასთან იქონიოს საქმე. მათთან ივაჭრონ, იმათის საშუალებით გაასაღონ და შეიძინონ საჭირო ნივთები. ამ დამოკიდებულებაში კი ჩვენი ხალხი მუდამ მოტყუებული და აბუჩად აგდებულია.

გაითვალისწინეთ საქართველოს ვაჭრობისა და ჩარჩობის ისტორია. ქართველ ხალხის ცხოვრების მკვლევარნი მრავლისაგან მრავალ საბუთს გვაძლევენ, რომლითაც აშკარა ხდება რომ ჩვენი გლეხ-კაცების საუკეთესო მიწა-წყალის ბატონ-პატრონი სოფლის წურბელები და მოვაჭრენი გახდნენ. გლეხ-კაცობის ბაღები, ვენახები, სახლ-კარი და ეზო-სამოსახლო ერთიანად ვაჭრებს უვარდებათ ხელში. სომხები იყვნენ თუ ურიები, ქართველები თუ ისლამის თაყვანისმცემელნი, აშკარაა, რომ ხალხი მათ ხელში უხვად იფცქვნებოდა. ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის მოუწესრიგებლობას არსად არ მიუღია ისეთი სასტიკი სახე, როგორც ჩვენში, საქართველოში. ამიტომ კაპიტალისტური ცხოვრება, რომელიც საქართველოში განვითარდა, და რომელმაც გამოიწვია და განავითარა ჩვენი ხალხის სხვა და სხვა კლასებად დაყოფა-დანაწილება, გააალმასა ამ კლასებ შორის შური და წინააღმდეგობა, ჩარჩულ ვაჭრობით და მევახშეობით კიდევ უფრო გამოააშკარავა არსებულ მდგომარეობის სივაგლახე, კიდევ უფრო დაანახვა ხალხს, რომ არსებულ პირობებში მისი კეთილდღეობის განმტკიცება მისი ცხოვრების გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ კაპიტალისა და ფულის პატრონნი იყვნენ ბედნიერნი და კმაყოფილნი. რამდენადაც ფულიანი ხალხი საზოგადოებას ავიწროებდა და მას შეძლებასა და სიცოცხლეს სტაცებდა, იმდენად ეს ფულიანი ხალხი უფრო შეუბრალებლად ანვითარებდა თავის პირვანდელ საქმეს, სიმდიდრის შეგროვებას. ამიტომაც ვხედავთ, რომ ქართველ ხალხში, ევროპიელ გლეხისათვის წარმოუდგენელი, სიძულვილი გავრცელებული ჩვენში მიმქმედ მევახშეებისა და ჩარჩების მიმართ.

ასეთნაირადაა ჩვენში დაკნინებული ვაჭრობა აღებ-მიცემობა. მან აშკარად გააქანა წინ არსებული სიდუხჭირე და აი ასეთ პირობებში ისე, როგორც ევროპაში, გამოსულა ხალხი და თვითმოქმედებას ქადაგებს, ავრცელებს აზრებს კოოპერაციების დაარსებისას და ყოველ ხალხის მოსაიდუმლეს მოუწოდებს, რომ ამ თვითმოქმედებაში მონაწილეობა მიიღოს. განა საკვირველია რომ ასეთ პირობებში ამ ჯგუფისაკენ მიიმართოს ხალხის მისწრაფება, ხალხის თანაგრძნობა და სიხარული?

დიახ, ჩვენი ხალხი კოოპერატიულ მოძრაობის აზრებს მხურვალე თანაგრძნობით ეგებება, ჩვენი ხალხი მას უხვად დაეწაფა და ჩარჩულ აღებ-მიცემობას ლახვარს დასცემს. ტყუილად კი არ ამბობს კარლ

---

*) კოოპერაციის უარყოფით მხარეების გასაცნობად საინტერესოა ჩვენი ხალხი გაეცნობოდეს კარლ კაუცკის—ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ პატარა წიგნაკს „მომხმარებელი ამხანაგობანი და მუშათა კლასი“. „კოოპერაციის“ რედაქცია, რომ გადათარგმნიდეს ამ წიგნაკს ძლიერ კარგ საქმეს გააკეთებს.

ქციონერების დახმარებით ჩემს დღეში პ. ა. სტოლიპინის წინააღმდეგ არ მიმოქმედიაო. მე 17 ოქტომბრის მანიფესტის მომხრე ვარ და ვფიქრობ, სტოლიპინმა და ოქტომბრისტებმა ეს მანიფესტი არარად აქციესო.

— „რეჩს“ ცნობა მიუღია, ძველი შაჰი მაჰომედ-ალი ვენას მივიდაო.

— კიევის დამცველ პოლიციის მორევიზიე ტრუსევიჩმა ბევრი საჩივარი მიიღო- უჩივიან კულიაბკოს. ამბობენ, უკვე საკმაო მასალა მოგროვდა კულიაბკოს სამართალში მისაცემადო.

— ცარიცინის ქალაქის მოურავმა გუბერნატორს სთხოვა, ნება მომეცით საბჭოში ილიოდორეს მიერ ჩვენი შეურაცხყოფის საკითხი წამოვაყენოო.

— ტრუბეცკოის მკვლელი სტუდენტი კრისტი ციხეში გადაიყვანეს (იგი ნოვოჩერკასკშია). საქმეს შობამდე გაარჩევენ.

— პეტერბურგში პირველ საარჩევნო კურიამ სახელმწიფო სათათბიროს წევრად ოქტომბრისტი პროზოროვი აირჩია. იგი ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფის წარმომადგენელია, პროზოროვმა 754 ხმა მიიღო. კადეტთა კანდიდატი პანტელეევი გააშვეს. მან 428 ხმა მიიღო.

კახეთის ვითარება

ვერაფერი შემოდგომა დაუდგა კახეთს და აკი ამისათვის ეს დრო კახეთში ისე მხიარულად ვერ მიმდინარეობს, როგორც უწინ, როცა უხვი მოსავლით გახარებული კახელი მოკეთესაც უხვდებოდა და მტერსაც. კახეთის ცხოვრების უმთავრესი წყარო—ღვინის მოსავალი წელს ძალიან მდარეა, ზოგ სოფელში ხომ რთველი არა ჰქონიათ.

ჯერ იყო შარშანდელმა სიცივეებმა ვენახის მესამედი სულ გადაახმო, მერე გაზაფხულზე მთელი ქვემო მხარე ისე დასეტყვა, რომ საგაისოდაც ვერაფერს გამოარჩევიან, ახლა ზაფხულის გოლვამ რაც მარცვალი იყო გააკირკიტა და არ დაამსხვილა რაც არის იმასაც გამოსავალი ნაკლები აქვს. აქ გამუდმებულმა ქარმა ხომ ვაზს რაც სეტყვამ დააკლო ამან შეუსრულა, მარცვალი ზოგი ჩამოაყრევინა და ზოგიც დახეთქა, ხოლო ავდარზე კი ლპება.

მეტად ავდრიანი შემოდგომა დაგვიდგა. კავკასიონის ქედი მეტად ადრე ჩამოთოვა. ამას ვინ იტყოდა, რომ ცივიც არ ჩამოეთოვა, ასე ადრე კი იშვიათად ახსოვს ვისმე ცივზე თოვლის მოსვლა. ამისათვის ძალიან აცივდა. მცხოვრებნიც რთველს ეჩქარებიან. ვენახები უკვე დაიკრიფა, ზვრებსაც მიჰყვეს ხელი.

პურის მოსავალიც ნაკლებია, ეგაა, სიმინდს არა უჭირდა რა, პირველში წვიმები უხვადა ჰქონდა და მერე გვალვამ ვეღარაფერი დააკლო. თუ სიმინდი და ფეტვი ცოტაოდენი არ მოსულიყო შიმშილი აუცილებელი იყო. მოსავალი მოვიდეს, არ მოვიდეს—სულ ერთია, დადგება შემოდგომა თუ არა, გაიღვიძებენ სოფლის ჭირი მევახშეები, უმთავრესად თელაველი მოვაჭრეები, და დაძვრებიან დიდ ხურჯინ აკიდებული სოფელ-სოფელ იშვიათი გლეხი იქნება, ვალი არა ჰქონდეს. ვალი, როგორც სულმნათ ილიამა სთქვა, გლეხის ქოხის კარების ჭუჭრუტანიდამ ძლივღა ძვრება, მერე-კი იმოდენა სარგებელი ემატება, რომ ყურთამდე გაღებულ კარებიდანაც ვეღარ გამოდის: მთელ თავის სიცოცხლეში გლეხი სარგებლის ძლევას უნდება და თავნი კი ისევ უკვდავი რჩება. რასაკვირველია, წვრილი კრედიტი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ სოფელს, მაგრამ ვინ არის მოთავე და მისთვის გულშემატკივარი?!?!

ჟული.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

10 ოქტომბერი.

პეკინი. პალატის მეორე სესია გაიხსნა. თავადმა ლიმ სიტყვა-სიტყვა წაიკითხა, რომელსაც 9 ოქტომბრის ბრძანებასთან დიდი მსგავსება აქვს. სხდომას 196 დეპუტატში 100 დაესწრო. იყვნენ კაბინეტის წევრნი. დაარსეს მთავრობის ახალი გაზეთი—„საკონსტიტუციო პალატის მოამბე“.

ადმირალ ნის ესკადრის სამი გემი ჩუნსუნს მოვიდა. იანჩანის მთავარი ბინა გაცნშია, ხანკოუდან ასი ვერსის მანძილზე.

5 ოქტომბერს ხანკოუსთან ბრძოლამ გამოარკვია, რომ ჩრდილოეთის ჯარის მოწინავე რაზმებს ბრძოლაში მონაწილეობა არა ჰსურთ. უჩანი იუანშიკაიში სწრაფად ჩასვლის ნებას მოითხოვს, ჩივის, ფული, სურსათი და სამხედრო არტილერია არა მაქვსო. ზოგიერთმა უცხოეთელმა აფიცერმა და „ტაიმსის“ კორესპონდენტმა ხანკოუში შესვლა მოინდომეს, მაგრამ ვერ მოახერხეს და პეკინს დაბრუნდნენ.

ოფიციოზმა დაადასტურა, იჩანი მეამბოხეთ აიღესო.

ბერლინი. გერმანიის ესკადრის უფროსი ხანკოუდან იუწყება, 30 სექტემბერს, საღამოს, ჩინელთა ბრბო სცდილობდა გერმანელთა კონცესიაში შეჭრას და გაძარცვასაო, მაგრამ ნაღმოსანმა „ფატერლანდისა“ და მოხალისეთა რაზმმა უკუაქცია. თოფი არ გავარდნილა. უცხოელთა კონცესიებში მშვიდობიანობაა.

გაზეთებიდან

ბრძოლის ამბავი.

ლონდონში ხანკოუდან შემდეგი ამბავი მოსულა: **ხანკოუს უკანასკნელ ბრძოლაში ორთავ მხარეს თანასწორი ჯარი ჰყავდა.** თითოს 2000 მეომარი. ბრძოლის გათავების შემდეგ, ორივე გამარჯვებას იჩემებს. რევოლუციონერებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს მთავრობის ჯარზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. მთავრობის ჯარი უკან არ დასდევნებია, რადგან საკმაო ძალა არ მოსდევდა.

ბრძოლის საბაბი ის იყო, რომ ჯარის ადმირალ შახეგპინკს იმპერატორის ჯარის დასახმარებლად რაზმის გადასხმა სურდა. რევოლუციონერებმა სროლა აუტეხეს. მოახერხა თუ არა ადმირალმა ჯარის გადასხმა, ჯერ არ იციან. მთავრობის ფლოტილია ძალიან დაზიანდა: ორი გემი ჩაიძირა, სხვებმა უცხოელთა დროშას შეაფარეს თავი.

ორივე მხარე თითქმის თანასწორად დაზარალდა. 200-300 კაცია დაჭრილ-დახოცილი.

„წითელი ჯვარი“ კონცესიებზე ევროპიელებმა დაარსეს.

მთავრობამ გამოაცხადა, ვითომ რევოლიუციონერები დაემარცხებინოს და დიდადაც ეზარალებინოს. ამით მთავრობას მოძრაობის შეჩერება ჰსურს.

რევოლუციონერები იანცზეკიანგის მდინარის გაღმა გავიდნენ. იქ სურსათსა და მოხალისეთ აგროვებენ. ადმირალ სას ესკადრა სროლას ვერა ჰბედავს, რადგან ევროპიელთა კონცესიების დაზიანებისა ეშინიან. ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე.

რუსეთი და ჩინეთი.

„ვეინერ ალგემ. ცაიტ.“ მეთაური ამბობს: ჩინეთის რევოლუციას უმთავრესად რუსეთის საწინააღმდეგო ხასიათი აქვს. ერთის მხრივ იგი იმითაც არის გამოწვეული, რომ მთავრობამ უკანასკნელ მოთხოვნილებათა წარდგენის დროს რუსეთს ბევრი რამ დაუთმოო.

მიიღება ხელის-მოწერა
მხოლოდ 15 ოქტომბრამდე
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-4 წიგნზე.
წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.
ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი).
ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

ბრიუსელის გაზეთები ამბობენ, საქმეში რუსეთის ჩარევა ჯერ არავის უარუყვიაო. იმასაც ამბობენ, ვითომც რუსეთსა და იაპონიას პირობა დაუდიათ, მანჯურია გავინაწილოთო.

მთავრობის მოქმედება.

პეკინიდან იუწყებიან, მთავრობა უკანასკნელ დროს ადებულ ვალებს აღარ ისტუმრებსო. ბირჟაზე დიდი შიშიანობაა. ბევრი კოტრდება.

მთავრობამ გამოაცხადა, იმ რევოლუციონერებს, რომელნიც შეინანებენ, დანაშაულს ვპატიებთო. ჩინეთის პარლამენტის მოწვევას მომავალ წლის იანვარში ელიან.

ზოგიერთ ადგილას ევროპიელთა საწინააღმდეგო მოძრაობა ძლიერდება.

ხმა დავარდა, მთელი დასავლეთი ჩინეთი რევოლუციონერთა ხელშიაო.

რევოლუციის ხარჩული.

რევოლუციონერებს ცუდი ამბავი დაემართათ. მათ დროშის ქვეშ მდგარი ვაჭარნი, ნოქარნი და მოხელენი უკან მიდიან. ბრბო და დამშეულთა რაზმები სხვა გზას დაადგა. მათ დავლის იმედი ჰქონდათ და, როცა რევოლუციონერებმა სასტიკი ზომები მიიღეს ევროპიელთა გაძარცვის წინააღმდეგ, თავისიანების ძარცვა-გლეჯა დაიწყეს.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

10 ოქტობერი.

ტრიპოლი. 9 ოქტომბერს ორი ბატალიონი დასაზვერად დასავლეთ-სამხრეთისაკენ წავიდა და ექვსი კილო მეტრის მანძილზე, სამხრეთისაკენ, სროლა ასტეხა. მტერი არ იბრძოდა. იტალიელთა რაზმი, ორ ბატალიონზე ნაკლები, დილას გარგარეშჩას მიდიოდა. ქალაქის ახლოს ნაპირზე ათი ჰაეროპლანი გადმოიტანეს. თითო ქვეითა პოლკს ერთი მაქსიმის ტყვიის მტყორცნელი აქვს ბერსალიერთა პოლკს კი სამ-სამი.

რომი. სტეფანის დეპეშით ატყობინებენ: ტრიპოლიდან უმართულო ტელეგრაფით იუწყებიან, იტალიელებმა დერნა აიღესო. დაატყვევეს ოსმალთა კაპიტანი და 7 მეზღვაური. ტრიპოლის ეპისკოპოზმა გენერალ კანევას ერთგულება შეჰფიცა. გადაჭრით უარჰყოფენ ხმას, ვითომც ბენგაზთან იტალიელნი დამარცხებულიყვნენ.

სტამბოლი. „იკდამი“ შეერთებულ შტატების რწმუნებულის განცხადებასა ჰბეჭდავს, იგი ამბობს, ამერიკის ესკადრა ჰიბრალტართან არის და ამერიკას მიდისო. „ტანინი“ რუსეთთან შეთანხმების თაობაზე მსჯელობს. „ტანინში“ დაბეჭდილია „ერთობისა და პროგრესის“ პროგრამა: ყოველ ოსმალოს, რომელიც 20 წლისა მაინც იქნება, უფლება აქვს პალატაში არჩეულ იქმნეს. კანონისთვის ყველა სარწმუნოება სწორ უფლებიანია. პარლამენტი ყოველ წელიწადს უნდა მოიწვიონ ოთხის თვით. სესიის ვადის შეცვლა ხონთქარზეა დამოკიდებული; დეპუტატებს ჯამაგირი უნდა მოემატოს. კომიტეტს კაპიტულაციების გაუქმება ჰსურს.

სტამბოლი. დააპატიმრეს ერთის კვირის წინად აქ მოსული აბდულჰამიდის კარის კაცი ფუად-ბეი. იუწყებიან, მას აქაურ მოღვაწეებთან თათბირი ჰქონდაო.

„იენი-გაზეთი“ იუწყება, 3,000 იტალიელების რაზმი ბარკის ახლო დამარცხდაო. მათ 800 კაცი დაუჭრეს და დაუხოცესო. ოსმალებს მხოლოდ 105 მოუკლეს.

ოტომანის სააგენტო უარ ჰყოფს, ვითომც საიდ-ფაშის კაბინეთში ცვლილებას ელოდნენ.

რომი. ბენგაზიდან იუწყებიან, ოსმალეთის ჯარმა უწესრიგოდ დაიხია და შუაგულ მხარეს მიაშურაო, ბედუინები ღამით მოწინავე სადარაჯოებს მოსვენებას არ აძლევენ. ქალაქის მცხოვრებთ იარაღი აჰყარეს. მკვიდრთა მეთაურნი იტალიის მორჩილებას უცხადებენ. სამის გემით ჯარი მოვიდა. გადმოსხმა სწრაფად ხდება.

ბუდაპეშტი, გაზეთების ცნობით, ოსმალეთის მთავრობა უნგრეთში თურმე 15 ათასს ცხენსა ყიდულობს.

სოფია. მთავრობა ათინაში მყოფ ელჩის ნაბი-ბეის სოფიაში ოსმალეთის ელჩად დანიშნას დათანხმდა. მან პორტას წინადადება მისცა, სავაჭრო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკება განვაახლოთო.

გაზეთებიდან.

საქმის მსვლელობა.

დიპლომატთა წრეებში ჰფიქრობენ, შესაძლებელია ოსმალ იტალიელთა ომმა ბალკანეთში არეულობა გამოიწვიოსო. ახლა ცნობები მიუღიათ, ბალკანეთის სახელმწიფოები და ავსტრია იარაღს ისხავენო.

გაზეთები გადმოგვცემენ, ხმა გავარდა, ოსმალეთს ჩერნოგორიის ოკუპაცია უნდა, რადგან იგი იტალიის მონათესავე სახელმწიფოაო.

ყველა ჰფიქრობს, ტრიპოლიში ომი პარტიზანულ ხასიათს მიიღებს და ძალიან გაჭიანურდებაო.

ხმა გავარდა, იტალიამ პორტას წინადადება მისცა და დაემუქრა, თუ ზავს არ ჩამოაგდებ ომს ეგეისა და მეწამულ ზღვაზე გადავიტანო.

იმასაც ამბობენ, ოსმალეთმა გადასწყვიტა, არავის შუამდგომლობა არ მიიღოს ვიდრე იტალია ხელსაყრელ პირობებს არ წარმოადგენსო.

ბელგრადში ცნობა მიუღიათ, ბოსნიისა და ახალ ბაიაზეთის საზღვართან ოსმალთა ჯარს თავს უყრიანო.

სალონიკიდან იუწყებიან, სალონიკის ვილაიეტის მოხელეებმა გადასწყვიტეს, თავის ჯამაგირიდან 5 პროცენტი ხუთი წლის განმავლობაში ოსმალეთის ფლოტის გასაძლიერებლად გადასდონ.

კაუცკი: **კოოპერატიულ დაწესებულებათა შვედაზე დაუძინებელი მტერი წვრილი ვაჭრები და ჩარჩები არიანო.** კაუცკის აზრი განსაკუთრებით ჩვენს ცხოვრებაშია მართალი. დიახ, კოოპერატივების მოწინააღმდეგე და ხალხის შემშლელი ჩვენი წვრილი ჩარჩები იქნებიან, მაგრამ ეს უტყუარი თავდებია იმისი, რომ ასეთი დაწესებულებანი ხალხის ნდობასა და სიყვარულს დაიმსახურებენ.

კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსება და გამოყენება ყოველ ეკონომიურ დარგშია შესაძლებელი. ჩვენში კი ამ ჟამად განსაკუთრებული გულისყური უნდა მიექცეს მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას, ვაჭრობის ყოველ დარგში უნდა იქნას „საზოგადო დუქნები“ და ხალხი იქიდან იკმაყოფილებდეს მოთხოვნილებათ. კოოპერატიულ ამხანაგობათა დაწესება შეიძლება აგრეთვე ხალხის ნაწარმოებთა გასაყიდად, სესხის მოწყობისა და საწარმოვო იარაღების შესაძენად. ასეთ დაწესებულებებს მრავალ-მხრივ შეუძლიან საგრძნობლად დაეხმაროს გლეხს ნივთიერ ავლა-დიდებაში და ამიტომ კოოპერაციის ხელმძღვანელებმა ყოველ ზომებს უნდა მიმართონ, რომ ამ საქმისაკენ ხალხი აამოძრაონ, აამუშაონ, გადაუშალონ მათ კოოპერაციის სული, კოოპერაციის გული და მისი შედეგი.

კოოპერაციის გავრცელების საქმეში დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის გონებრივ ავლა-დიდებას, გონივრულ კულტურას. როგორც ვთქვით, ქართველი ხალხი ჯერ კიდევ არ იცნობს კოოპერაციას, მაგრამ არც იმდენად უვიცია რომ მისი მომზადება და ხელდახელ ამოძრავება შეუძლებელი იყოს. მხოლოდ ვიმეორებ: საჭიროა ენტუზიაზმი, საჭიროა სიცოცხლე და იმედები, სიფრთხილე და გამოცდილება...

ხალხის თვითცნობიერების გარდა, კოოპერატიულ ამხანაგობას ნივთიერი სახსარიც საჭიროება, კაპიტალი, ნაღდი ფული. ეს გარემოება ბევრს დამაბრკოლებელ მიზეზად მიაჩნია და ზოგი სამართლიანად შიშობს: ვაი თუ კოოპერატივებში მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოება შეიჭრას და ხალხი, მშრომელი და ხელმოკლე ხალხი კი განზე დარჩესო? ამ გარემოებას ჩვენმა კოოპერატორებმა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ და ყოველი საშუალება იხმარონ, რათა კოოპერაციაში მონაწილეობა საზოგადოების უმრავლესმა და უღარიბესმა ნაწილმა მიიღოს. მეტად მცირე საამხანაგო გადასახადის დაწესებით კოოპერაცია ხალხის უღარიბეს ნაწილს საქმეში ჩარევს და ამნაირად კოოპერაციის საქმე მართლა სახალხო საქმედ, ხალხის ინტერესების გამომხატველად იქცევა. რაც უფრო მეტად შეგნებული ხალხი იქნება კოოპერაციაში, რაც უფრო ხელ-მოკლე ხალხი იქნება შიგ მიღებული, იმდენად მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება მას, იმდენადვე კოოპერატივის გასავალ-შემოსავალი ხალხის გულის-თქმასთან ახლო იქნება და შემდეგ კოოპერატივის არსებობას შეეძლება ჩვენში დიდი კულტურულ საქმის განხორციელება.

გერმანიაში კოოპერაცია მრავალ დაჩაგრულთ ეხმარება, მრავალ გაფიცვას ხელს უწყობს, მრავალ სამკითხველოებს, სახალხო სახლებს, პოლიტიკურ კლუბებს, თეატრსა და ორგანიზაციებს ასაზრდოებს. ბელგიის სოციალ-დემოკრატია ხომ ბელგიის კოოპერატიულ საზოგადოებებით დიდად სარგებლობს. ინგლისში ჩარტისტებს ეხმარებოდნენ ამხანაგობანი და ამ უკანასკნელ ხანს ეს დახმარება კიდევ უფრო გაზრდილა. ვერსად ვერ ნახავთ, რომ რიგიანად დაყენებულ კოოპერატივებს ხალხისათვის დიდი სარგებელი არ მოეტანოთ. კოოპერატიულ დაწესებულებას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიან აგრეთვე პოლიტიკურად, ზნეობრივად, ვაჭრობისა და ალებ-მიცემობის რამდენიმე მოწესრიგებით; ამ დიდ საქმეში თვით ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, შიგ ხალხის ხმა ისმოდეს და ხალხის ძალამ უნდა გააქანოს განვითარებისაკენ. ამ საქმეში ხალხი თვითმოქმედებას ეჩვევა, ცხოვრებას უახლოვდება, ერთმანეთ შორის კავშირსა ჰგრძნობს და ამ კავშირს ეთვისება. საერთო საქმით თვით არსებობის გაუმჯობესობა—დიადი საქმეა, ეს შესანიშნავი მოვლენაა და ამ სინამდვილეს ჩვენ მთელის სულითა და გულით მივესალმოთ. კოოპერატივს არაფრის დაკარგვა არ შეუძლიან, ყოველ შემთხვევაში მას მეტის მოცემა შეუძლიან ვინემ წართმევა; პრაქტიკულ თვალსაზრისითაც ხელსაყრელია და ამიტომ ქართველი ხალხი მოვალეა ამ მიმართულებას გამოეხმაუროს, კოოპერაციებს ხელი გაუწოდოს და თანაგრძნობა გამოუცხადოს.

საბედნიეროდ, კოოპერაციისადმი ხალხის თანაგრძნობას უკვე ვხედავთ.

მართალია, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის კოოპერაცია და მისი მნიშვნელობა, რამდენადაც უნდა იცოდეს; მის ტალღებში ქართველი საზოგადოება არ შეცურებულა, მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ და ეკონომიურ პირობათა წინააღმდეგობის გაალმასებამ კი ის აიძულა კოოპერატიულ ამხანაგობებისათვის ყურადღება მიექცია, მიეღო ასეთ ამხანაგობათა აზრი და მით ცხოვრებაში გამოსულიყო. 1905 წელში და მას შემდეგ, გურიაში თითქმის ყოველ საზოგადოებაში ვხედავთ „საზოგადო დუქნებს“ სოფლელ გლეხების მიერ მოწყობილს (გლეხ-კაცობა ამ სახელს უწოდებს ამ ტიპიურ მომხმარებელ საზოგადოებას). სოფელ მუხუთში, თუ არ ვცდები აგრეთვე ლესაში, გურიანთისა და ჩოხატაურის უბნებში ასეთი „დუქნები“ არსებობს. სამეგრელოშიაც არსებობს ასეთი ამხანაგობანი, რომელნიც ანგარიშს აძლევენ საზოგადოებას გაზეთების საშუალებით. (იხ. მომხმარებელ საზოგადოებათა ზოგიერთი ანგარიშები და კორესპონდენციები ჟურნ. „კოოპერაციაში“ და „სახალხო გაზეთში“ მათხოჯელი კორესპონდენტის წერილი). კოოპერატიულ ამხანაგობებს იმერეთშიაც აქვს ალაგი და მას აღმოსავლეთ საქართველოშიც ვხედავთ, თუმცა უფრო ნაკლებ. განსაკუთრებით საყურადღებო და სიმპტომატიური ისაა, რომ სხვა და სხვა მხრიდან უკვე აღძრულა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ასეთ დაწესებულებათა გახსნის ნებართვისათვის და ყველგან დაიმედებულნი იმყოფებიან, რომ ნებას მიიღებენ.

საერთოდ, არის უტყუარი ნიშნები, რომ ამ საქმის განხორციელებას ნიადაგი აქვს ჩვენს ცხოვრებაში, რომ ეს აზრი მოედება ჩვენს მხარეს და მით მწარმოებელთა ძალის განვითარებას ამ მხრივადაც ხელს შეუწყობს. საქმის წარმატებას ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ ჯერ-ჯერობით მაინც ასეთ დაწესებულებების წინააღმდეგ ამხედრებული არაა ის ძალა, რომლის ხელში მოგროვილია ეგრედ წოდებული სახელწიფოებრივი უფლება და ძალა.

მაშ, რაღა გვაბრკოლებს ამ სიმპატიურ, საქმის განსავითარებლად? რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, რომ გული გაუხსნათ და ხალხის გრძნობებს შეუერთოთ, ხალხის საქმეს შეუსისხლ-ხორცოთ? კიდევ ვიმეორებ: მხოლოდ უმეცრება.

უმეცრება მუდმივი ლახვარია ჩვენი საზოგადოებისა, ის მუდამ თანა სდევს ჩვენ ხალხს, მაგრამ ამის წინააღმდეგ საჭიროა მთელი ჩვენი ძალა და ღონე, საჭიროა ჩვენი სიცოცხლე და ამ სიცოხლის თავანკარი ენტუზიაზმი. ამ უკანასკნელ საშუალებით, რომელსაც ჩვენ თვით ხალხის საქმეს შევსწირავთ და მოვანდომებთ—შეგვეძლება ხალხი გამოვაფხიზლოთ, გამოვაცოცხლოთ და თვალები ავუხილოთ. მხოლოდ ნუ დავიზარებთ მეტს სიცოცხლეს, მეტ ენერგიას, მეტ მხნეობასა და საქმიანობას. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საქმეს ბევრნი აღმაცერად შეხედავენ, ბევრნი ცხვირზე წამოიცვამენ მას და აიხირებენ... მაგრამ ეს ხომ თანდაყოლილი თვისებაა ჩვენი მძინარე და ძილში გაშხლართულ საზოგადოებისა და პირდაპირი ინტერესი ქართველ ხალხის ბურჟუაზიულ ელემენტისათვის?

განა ასეთმა ხალხმა თვით შესანიშნავი რობერტ ოუენი არ გაათახსირა, არ ჩააგდო ლაფის წუმპეში? მაგრამ დაე მათი ხმა წინ მიუძღოდეს ამ დიდ საქმის მესვეურებს, დაე მათი დაცინვა და ახირება გამხალისებელი, ამაღფრთოვანებელი გამოდგეს ამ საქმის წარმატების მოსურნეთათვის, რომ თავის გაათასკეცებულ ენერგიით, დაუღალავი ჯაფითა და მეცადინეობით დაენთოთ ჩვენს დაუძლურებულ ცხოვრებაში ერთი იმ ლამპართაგანი, რომლის სინათლე ჩვენი ცხოვრების გაცისკროვნებას ხელს შეუწყობს...

დასასრულ ერთი შენიშვნა: გაზ. „თემში“ ბ. იმერ-ამერელი „ჩვენი ბანკების“ შესახებ სწერდა, რომ ქართველი ხალხი დიდ ცდაში უნდა იყოს, რომ ეს ბანკები განვითარდეს და წინ წავიდესო. რისთვის? იმიტომაო, რომ ეს ბანკები ჩვენი ერის კულტურულ მოთხოვნილებებს დარაჯად უდგანანო. რამდენად მართალია ეს—ყველა ჩვენგანმა ვიცით... მაგრამ, აბა ვნახოთ მაგალითად, ისეთ საქმის წასამართებლად, როგორიც არის კოოპერაციების საქმე, ჩვენი ბანკები რა დახმარებას გაუწევენ სხვათა შორის „კოოპერაცია“ მწერდა ამას წინად: ჩვენი რედაქცია საზოგადოდ ჩვეულებრივ კრიზისს განიცდისო! ნუ თუ ამ კულტურის ეპიგონებს და მუდამ სამშობლოზე მღაღადებელთ არ შეუძლიანთ რაიმე დახმარება გაუწიონ ამ ხალხს, რომ მათ რამდენიმე ხნით წელი მოიმაგრონ, რომ შემდეგ მთელი თავისი ძალითა და ღონით საქმეს კარგი პირი გამოუჩინონ?—ვნახოთ და მომავალი დაგვიმტკიცებს.

თედ. ღლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის გარტყმა.

ქ. ვენაში შეუტყვიათ, ოსმალეთის ტახტის მემკვიდრეს იუსუფ-იზედინას და ნაჩინისტრალ ხაკი-ფაშას ძლიერ ცხარე კამათი ჰქონდათო. ამბობენ, ლაპარაკის დროს მემკვიდრემ ხაკი-ფაშას სილა სტკიცაო.

ჯარის მუქარა.

ხმა დადის, ადრიანოპოლის კორპუსი იმუქრება, თუ მთავრობამ იტალიასთან ზავი ჩამოაგდო, სტამბოლზე გავილაშქრებთო.

ტრიპოლში მყოფ ოსმალეთის ჯარს 8 ათასამდე არაბი შეუერთდა თურმე.

ალბანელთა ფიცი.

ალბანელთა მეთაურნი, რომელთაც მთავრობას იარაღის დარიგება მოსთხოვეს, ფიცსა სდებენ, მაგ იარაღს მხოლოდ ოსმალეთის გარეშე მტრების წინააღმდეგ ვიხმარებთო.

ხროლა.

სკუტარიდან იუწყებიან, ჩერნოგორელები ოსმალეთის გემებს დაეცნენ და გაცხარებული ბრძოლაც ჰქონდათო.

პარტიზანული ბრძოლა.

ტრიპოლიდან იუწყებიან ოსმალოების რაზმები ნაწილ-ნაწილად ყოველ დღე იტალიელებს თავს-ესხმიან, მოსვენებას არ აძლევენ და ზარალსაც აყენებენო. ოსმალებს არაბთა მოხალისენიც ეხმარებიან. ამ დღეებში ოსმალონი 10 ათასი კაცისაგან შემდგარ დამხმარე რაზმს ელიან. დიდძალი რაზმი მიდის აგრეთვე ბენგაზს.

იქიდანვე იუწყებიან, დესპანებმა, ოსმალეთის დერნასთან რომ ჩამოვიდნენ, იტალიელები დახოცესო.

ომის განგრძობა.

იტალიიდან იუწყებიან, ომის გაჭიანურებამ საზოგადოება საგონებელში ჩააგდოო. ყოველ დღე ომისთვის 8 მილიონი ლირი იხარჯება თურმე.

დიპლომატებსაც არა აქვთ იმედი ზავის ჩამოგდებისა, რადგან პორტამ განაცხადა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო.

გერმანიის შუამავლობა.

გაზეთ „კასპს“ დეპეშით ატყობინებენ: გერმანიამ საბოლოოდ გადასწყვიტა, იტალიისა და ოსმალეთის მორიგება იკისროს.

ტრიპოლში.

ტრიპოლიდან იუწყებიან, ოსმალონი ყოველ ღამ თავს ესხმიან იტალიის პოზიციებს. შაბათს ნამდვილი ბრძოლა მოხდა და ორივე მხარე, თურმე, ძალიან დაზარალდა. იტალიელები აქ ამბავს უცხოელთა კორესპონდენტებს უმალავენო.

მკვიდრთა რამდენიმე ქალი წყლისთვის წასულა ჭაზე, რომელიც სადარაჯოების ფარგალშია. დარაჯმა რო დაინახა, შეეკითხა: ვინ ხართო? ქალებმა ვერ გაიგონეს და ისევ მიდიოდნენ. დარაჯმა სროლა დაუწყო, რამდენიმე მოჰკლა და დასჭრა.

ბენგაზის მკვიდრნი არაბნი პარტიზანულ ბრძოლას აპირებენ.

ამბობენ, ოსმალოებმა ალყა გაარღვიეს და ჯარი გადასხესო. ახლო მომავალში მოსალოდნელია ეგეის ზღვაზე ოსმალეთისა და იტალიის ესკადრა შეიბნენ. იტალიელებს განზრახვა აქვთ სმირნას ზარბაზანი დაუშინონ.

პროტესტი.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა მთელ ოსმალეთში იტალიელთა ბოიკოტის გასავრცელებლად კომიტეტი დაარსა. გერმანიის ელჩმა მარშალ-ფონ-ბიბერშტეინმა პორტას ნოტით მიმართა, რომლითაც ბოიკოტის გამო პროტესტს აცხადებს.

აბდულ-ჰამიდი.

სალონიკიდან იუწყებიან, შეამჩნიეთ რომ ძველ ხონთქარის — აბდულ-ჰამიდის — განთავისუფლება სცადესო. დარაჯები გააძლიერეს.

საიდ-ფაშას სურვილი.

სტამბოლიდან იუწყებიან, დიდი ვეზირი საიდ-ფაშა მშვიდობიან მორიგების წინააღმდეგია. მან განაცხადა: ომს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე განვაგრძობთო.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს

10 ოქტომბერი.

საზღვარ-გარეთ.

სტრასბურგი. ელზას-ლოთრენში ახალ კანონების მიხედვით პირველად მოხდა პარლამენტის წევრთა არჩევა. აირჩიეს 2 ლიბერალი, 19 ცენტრის პარტიისა, 5 სოციალისტი, 9 ლორენის ბლოკის კანდიდატი, 1 დამოუკიდებელი აგრარი. 24 ოლქში დამატებითი არჩევნები მოხდება.

ლონდონი. 9 ოქტომბერს ქარიშხალის და დელგის დროს სოუსენდთან 60 იახტა და პატარა გემი დაიღუპა. დუვრში ნავთსადგურები დაზიანდა.

სტამბოლი. 9 ოქტომბერს საპატრიარქო ეკლესიაში მიტროპოლიტ ემელიანეს სულის მოსახსენებლად წირვა იყო. სწირავდა მსოფლიოს პატრიარქი. წირვას ბერძენი დეპუტატები და ბევრი მლოცველი დაესწრნენ.

სტამბოლში 400 სახლი გადაიწვა. ზარალი სამ მილიონ ნახევარ მანეთამდეა.

ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით 14 კაცი გახდა ავად.

თეირანი. მეჯლისმა მოიწონა კანონ-პროექტი, რომლითაც დეპუტატთა რიცხვი 136 განისაზღვრება. ხმა აქვს სპარსეთის ყველა მოქალაქეს, თუ ის 21 წლისა იქნება. საარჩევნო სისტემა პირდაპირია.

ეფრემი თეირანს დაბრუნდა.

პრაგა. ჩეხიის სამანუფაქტურო რაიონში გაფიცვა ძლიერდება.

ბუდაპეშტი. ოპოზიციასთან დათმობის თაობაზე მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. მოსალოდნელია მთავრობის პარტიის ობსტრუქციასთან ბრძოლა.

პარიზი. „ტამპს“ 1912 წლისთვის შედგენილი რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა მოსწონს. „ტამპსი“ ამბობს, კოკოვცევი ერთგულად დაცვის საჭიროებას გრძნობს და ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის ხასიათი რუსეთის ცხოვრების მოთხოვნილებას შეეფერება.

ბერლინი. რეიხსტაგი. სხდომას დაესწრო კანცლერი, მინისტრები და დიდძალი ხალხი. ცენტრის დეპუტატი შპანი სანოვაგის სიძვირის თაობაზე ლაპარაკობს. სარკინიგზო ტარიფის შემცირება ვაჭარს უფრო ასარგებლებს, ვიდრე მყიდველსაო. საქონლის შემოსატანად მოწმობა უეჭველად უნდა არსებობდესო. სოც.-დემ. შაიდემანი საკლავ საქონლისა და სანოვაგის ბაჟის შემცირებას თხოულობს. თავისუფალი მოაზრე ეზერი ცხოვრების გაძვირებას გერმანიის საეკონომიო პოლიტიკას აწერს. ყველას ბეტმან-ჰოლვეგი უპასუხებს. იგი ამბობს, მთავრობა თავის საეკონომიო პოლიტიკას მტკიცედ დაიცავს, რადგან სწამს, რომ იგი ერისათვის სასარგებლოაო. საკვები უმეტეს ნაწილად ბაჟისაგან თავისუფალია, მაგალ., სარკინიგზო ტარიფის შემცირების შემდეგ ქერის ბაჟიც შევამცირეთო. სანოვაგის 93 პროცენტი უბაჟოდ შემოაქვთო.

რუსეთი.

პეტერბურგი. 9 ოქტომბერს ქალაქის საბჭოში მეჭურჭლეობის მოყვარულთა საზოგადოებამ სტოლიპინის ხსოვნისთვის სხდომა გამართა. ილაპარაკა სათათბიროს წევრმა გრაფ. ბობრინსკიმ, ბაშმაკოვმა და ოქტომბრისტმა ნიკანოროვმა. მათ დაახასიათეს სტოლიპინის შესანიშნავი პიროვნება, მამულიშვილობა და მეურნეობა. ყველაზე ძლიერ დამსწრეთ ნიკანოროვის სიტყვა მოეწონათ და ოვაცია გაუმართეს.

მთავრობა უარჰყოფს, ვითომც ტრუსევიჩის მოქმედების ფარგალი შეეზღუდოთ.

სარატოვი. სასამართლომ სერდობის „ტყის ძმათა“ (უსახლთა ბრძოლა) საქმის გარჩევა დაიწყო. მათ 1906 წ. ძარცვა-გლეჯა ჩაიდინეს. გაარჩევენ აგრეთვე ბეკოვისა რევოლუციური ორგანიზაციის საქმეს. ბრალდებული 48 არის, მოწმენი 170.

ეკატერინბურგი. საერობო კრებამ საერობო სკოლებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება გადასწყვიტა.

ვარშავა. პოლონელთა საპროფესიო კავშირის სადგომში რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდა; სამი მუშური მოჰკლეს, ორი დასჭრეს და მიიმალნენ.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებზე საბჭოს წევრმა შემომცევმა 82 ხმიდან 45 მიიღო. რადგან კანონიერი რიცხვი არ არის არჩევნებისთვის, ხელახალი არჩევნები 11 ოქტომბრისათვის დანიშნა.

„რუსკოე ზნამიას“ რედაქტორი დუბროვინი 1024 მუხლის ძალით სამართალში მისცეს 221 ნომერში ბელგრადიდან მოწერილ კორესპონდენციის მოთავსებისთვის.

თეატრი და ხელოვნება

ნოემბრის 17-ს, არტისტიულ თეატრში სომხურ სცენის დამსახურებული მსახიობი ქალი **ზაბელის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს** გადაიხდიან. მის პატივისმცემელთა ერთი ჯგუფი ამ საქმის მოწყობას უკვე შეუდგა. არჩეულია საიუბილეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ქ-ნი ნ. ალიბეგიანი და მდივანი ა. გასპარიანი. იუბილეის დღეს წარმოადგენენ ერთ მთლიან პიესას რომლის შემდეგ მოხდება მილოცვა.

გამოსადეგი ცნობა

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ზოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა ხამშაბათობითა და პარასკევობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ზოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. ქიმში).

კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული— ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (ზერგიევის ქუჩ. N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

ნიხრი

ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა (მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე	40 კ.
2. ქალაქიდან გ ... ებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე გერის ბაღებში და უკან	70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში	70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში	1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში	40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა ხაზადლაღებამდე	50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან	80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში	50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე	50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება	40 „

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ზახანახოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულანია: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აპეტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. მუჯინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

• **ქალ. ექიმ. ზ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ავახაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ.-ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. აპეტიხიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—153)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი

მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (ზიმხივნიბა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმლებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლისას „606“-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

(25.1505.21)

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩანისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—49)

მზარეულობის პრაქტიკული სკოლა

ე. ნ. მისტროვისა,

(გრიბოედოვის ქუჩა N 9, სამუზიკო სასწავლებლის პირდაპირ).

სადილი 30 კ.—60 კ.-მდე საუზმე, პირაშკა და სხვა და სხვა საჭმელები მზადდება აგრეთვე შეკვეთით.

სასწავლებელში მიიღება მოწაფეები ყოველ დღე. (თ—868.1)

გამოვიდა და იყიდება

თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“,	ფ. 75 კ.
„ „	წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“	ფ. 80 კ.
„ „	წ. III. „ნააზრევი“	ფ. 65 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა“	ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	„სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა:	„მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მაღაზია ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) სევრიუგა (ტარადანა)

და ორაგული

ყოველ დღე ცხელი ლოში.

◀ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 40 კ.

ახალი კეტოვი ხიზილალა

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ—1063—)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 15 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, ქალაქის საკრებულოში

იჯარით გაიცემა

მე-9-ე საპ. უბანში კუკიის ხიდის ზემოდ მდებარე მტკვრის

სანაპირო ადგილი.

პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3.1532.2)

ქონებრივი მდგომარეობა

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 ოქტომბერს 1911 წელს.

აქტივი (აქვს).

1. კასსა, ნაღდი ფული		8284	84
2. სახელდახელო ანგარიში:			
ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში.	130,—		
ბ) ქუთ. განყ. აზ. ღ. კ. ბანკ.	6605,52	6735	52
3. სარგებლ. ქაღალ.			
ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ.	1254,13		
ბ) საზოგადოების ანგარ. „	— —	1254	13
4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით		45282	21
5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და ადგ. უზრუნვ. ყოფ. შავქვ. ადგ.		54952	81
6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.)		5454	40
7. სესხი გაც. გირავ.			
ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ.	— —		
ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ	8690,—		
გ) შავ-ქვაზე	113354,64		
დ) საქონელზედ	872,60	122917	24
8. კორესპონდენტ.	— —		
ა) იმათ ანგარ.	3007,75		
ბ) საზოგ. ანგარ.	1116,50	4124	25
9. გერბ. ქაღალდ. და თამ.		184	16
10. მოწყობა-გამართვა საზოგად.		2590	57
11. ხარჯი დასაბრ.		3808	51
12. ზარალი 1905 წ.		207	61
13. მიმდინარე ხარჯი		5366	61
14. მიცემული სარგებ. და კომისია.		7364	05
ბალანსი		268526	91

(ვმართებს) პასსივი.

1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 213 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე		18140	—
2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ.		361	24
3. თანხა:			
ა) სათადარიგო	5464,07		
ბ) ამორტიზაც	1791,70		
გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—10 წ. მოგებიდან	5454,40	12710	17
4. შემოტ. ფული:			
ა) სახელდ. ანგ.	55366,83		
ბ) ვადით	40179,94		
გ) უვადოთ	400,—	95946	77
5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ:			
ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან.	11000,—		
გ) სხვა და სხვა საზოგ. ბანკები.	20215,—	31215	—
6. საგანგებო სახ. ანგარ.-უზრ.-ყოფ.		—	—
ა) სარგებლ. ქაღალდ. მან.	899,03		
ბ) შავის ქვის	39620,71	40519	74
7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით		36775	35
8. კორესპონდენტ.:			
ა) იმათის ანგარ. (Loro)	3092,92		
ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro)	11065,46	14158	38
9. გადასაგზ. შემოტ. ფული		—	—
10. გარდამავ. თანხა		4238	35
11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა		593	56
12. 5% პროც. სახელ. გარ.		94	60
13. წმინდა მოგება 1910 წლისა		—	—
14. შემოსული სარგებელი		13773	75
ბალანსი.		268526	91

თავმჯდომარე გამგეობისა თავ. ი. გ. აბაშიძე.

ბუხჰალტერი სოფ. ტარუაშვილი. (2—1288—1)

დირექტორები: (თ. ვ. ჯაყელი.
(ა. ზ. გალუსტოვი.